ოქმი #3

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2020 წლის 4 სექტემბრის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, დ. კაპანაძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატურის შერჩევა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს ამოეწურა უფლებამოსილების ვადა, და საჭიროა ახალი კანდიდატურის წარდგენა. კანდიდატურის შერჩევისას უნდა ვისარგებლოთ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2018 წლის 23 მაისს (ოქმი # 2) განსაზღვრული კანდიდატურების შერჩევის კრიტერიუმებითა და წესით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისათვის წარსადგენი კანდიდატურების შესარჩევად განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმები: კანდიდატურა უნდა იყოს ფართო სპექტრის მეცნიერი, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 20 მაინც რეიტინგული სტატია, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში. კანდიდატურების შერჩევის წესი განსაზღვრულია შემდეგნაირად: დასახელებული კანდიდატურებისთვის ხმის მიცემა ჩატარდეს ღია კენჭისყრით. გამარჯვებულად ჩაითვალოს ის კანდიდატურა, რომელიც მიიღეს დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტს.

თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობისთვის **დასახელდა 1 კანდიდატურა:** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **თორნიკე ქადეიშვილი.**

ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: თორნიკე ქადეიშვილი: მომხრე - 16, წინააღმდეგი - 0.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: 1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატად შერჩეულ იქნა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **თორნიკე ქადეიშვილი**; 2) თ. ქადეიშვილის კანდიდატურა განსახილველად წარედგინოს თსუ რექტორს.

საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლულმდივანი ო. ჯოხაძე